სანოტარო აქტი

საქართველო

მე ნოტარიუსს ქ.თბილისში ქეთევან ოდილავაძეს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ტაბიძის ქ.№7 მივლინებული შარტავას ქ.№7-ში (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 11 აგვისტოს ბრძანება №114), მომმართა **შპს „სანი“-ს დირექტორმა რამინ სამხარაძემ (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან გაცემული 16.06.2011წ., №406033983).** რომელმაც განაცხადა, რომ იგი არის **შპს „სანი“-ს** დირექტორი და მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სურს **შპს „სანი“-ს** სახელით მინდობილობის (პროკურა) შედგენა, **კობა კობაზიძის და უტა მაზიაშვილის** მიმართ და მოითხოვა ამ გენერალური სავაჭრო მინდობილობის (პროკურას) შედგენა. მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი რომ, მე ნამდვილად **რამინ სამხარაძემ (დაბ.03.06.1976წ., მცხ. ჭიათურა, ჭიღლაძის ქ.№18, პ/მ №54001001896, №გ0996825 გაცემული სრს ჭიათურის სამსახურის მიერ 30.10.2006წ.)** მომმართა. მე შევამოწმე **რამინ სამხარაძეს** უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს **შპს „სანი“** თანახმად **ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან გაცემული 16.06.2011წ., №406033983.** მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

შემდეგ შევადგინე წინამდებარე გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა), რომელიც წავუკითხე და განვუმარტე „მიმნდობ“ პირს. მან წაიკითხა გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა) და განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე გენერალურ სავაჭრო მინდობილობას (პროკურას).

გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა)

მე, **რამინ სამხარაძეს შპს „სანი“-ს** სახელით **კობა კობაზიძეს (დაბ.30.01.1975წ., მცხ.ქ.თბილისში, ზუგდიდის 3, ბ.17, პ/მ №60002000227, №ბ0798334 გაცემული დიდუბის საპასპორტო მრ და სარ სამსახურის მიერ 30.09.2005წ.) და უტა მაზიაშვილს (დაბ.17.03.1977წ., მცხ.ქ.თბილისში, მოსაშვილის ქ.№18, პ/მ №01026001199, №ბ0754135 გაცემული ვაკის საპასპორტო და მრს მიერ 05.08.2005წ.)** რომელნიც შემდგომში მოხსენიებულნი არიან როგორც პროკურისტი, უფლება აქვთ:

1. **გააფორმონ (დადონ) და ხელი მოაწერონ გარიგებებს (ხელშეკრულებები) საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნებში სხვადასხვა პირებთან მიმართებაში;**
2. **მარწმუნებლის სახელით წარმოადგინონ კომპანია საგადასახადო, საბაჟო, ადმინისტრაციულ ორგანოებში და კერძო ორგანიზაციებში;**
3. **განახორციელონ ფინანსური ოპერაციები და გადარიცხვები საქართველოს შესაბამის საგადამხდელო ორგანოებში, ბანკებში და ყველა სხვა კრედიტორებთან მიმართებაში.**

მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით და ძალაშია ორი ათას ცამეტი წლის 16 ნოემბრამდე.

ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარებს, რომლებიც რჩება სანოტარო არქივში, თან ერთვის დანართი 1 დოკუმენტი: 1. **ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან გაცემული 16.06.2011წ., №406033983.** გადაიხადა ნოტარიუსის საზღაური 11.80 ლარი, დღგ-ს ჩათვლით, რეგისტრაციის თანხა 2 ლარი, თანახმად სანოტარო მომსახურეობისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის (11 ივნისი 1998წ. 11 ს) 29-ე მუხლისა.

რამინ სამხარაძე

ნოტარიუსი ქ.ოდილავაძე